საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1926 წლის თებერვლის 15.	№ 1. განყოფილება პირველი	ა/კ. ცენტ. აღმას. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემ.

შინაარსი:

მუხ. 569. სასამართლოს აღმასრულებელთა მიერ სასამართლოს ორგანოების გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა აღსრულებისათვის ნიხრის მიხედვით მიღებული თანხებიდან რესპუბლიკანურ შემოსავალში გადასაცემი პროცენტული ანარიცხის დაწესების შესახებ.

„ 570. სსრკ ცენტ. აღმ. კ-ტისა და სახ. კომისართა საბჭოს მიერ სავაჭრო რეგისტრაციის გამოსაღების თაობაზე 1925 წ. დეკემბრის 4-ს თარიღი დადგენილების გამოცემის გამო სათანადო კანონთა გაუქმების შესახებ.

„ 571. სახ. „შინარა ر“-ის განთავისუფლების შესახებ დამატებითი გამოსაღების გადახდისგან ქვიშა-ხრეშის გადაზიდვისათვის.

„ 572. ქაღალდის მრეწველობის ნაკეთობის მაქსიმალური უკიდურესი საბითუმო, ნახევარ-საბითუმო და წვრილ-საბითუმო ფასების შესახებ.

„ 573. ქ. ფოთის აღმ. კ-ტის განთავისუფლების შესახებ დამატებითი გამოსაღების გადახდისაგან ქვიშა-ხრეშის გადაზიდვისათვის.

„ 574. ვ. ი. ულიანოვ-ლენინის გარდაცვალების დღეს დროშების დაწევის შესახებ.

„ 575. სახელმწიფო სასპორტო მონოპოლიის ცენტრალური გამგეობის მიერ საგასაცემო სამონოპოლიო სპორტის ა/კსფსრ-ში მოზიდვისა და გაყიდვის მოწესერიგების შესახებ.

„ 576. ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ შრომის სახელ. შემნახველი კასების დაარსების“ თაობაზე 1923 წ. სექტემბრის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების გაუქმებისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების დამატების შესახებ.

„ 577. მეშათა ფაკულტეტების სტუდენტებისათვის სამუშაო დღის შემცირების შესახებ.

„ 578. ხე-ტყის დამმზადებელი ორგანიზაციების მიერ სამორე სასყიდლის შეტანის წესის შესახებ.

„ 579. ა/კსფსრ შრ. სახ. კ-ტთან არსებული ა/კ. სოციალური დაზღვევის საბჭოს დებულების ახალი რედაქციის შესახებ.

„ 580. სარეზერვო ფონდის თანხების დახარჯვის წესის შესახებ ა/კსფსრ ბიუჯეტის მიხედვით.

„ 581. იმის შესახებ, რომ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებს და საშრომო საქმეთა გადამწყვეტ სხვა ორგანოებს არ შეუძლიანთ გამოიტანონ დამზღვევ ორგანოთათვის სავალდებულო გადაწყვეტილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

569. სასამართლოს აღმასრულებელთა მიერ ნიხრის მიხედვით მიღებული თანხებიდან რესპუბლიკანურ შემოსავალში გადასაცემი პროცენტული ანარიცხის დაწესების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შემოსავალში გადასაცემად 75%-ნი ანარიცხი იმ თანხებისა, რასაც სასამართლოს აღმასრულებელნი მიიღებენ ნიხრისამებრ სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა აღსრულებისათვის, ხოლო დანარჩენი 25% გადადებულ იქნეს სასამართლოს აღმასრულებელთა სასარგებლოდ.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კოიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. დეკემბრის 28.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1071 №-ში 1926 წ. იანვრის 6-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

570. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სავაჭრო რეგისტრაციის გამოსაღების თაობაზე 1925 წ. დეკემბრის 4-ს თარიღით დადგენილების გამოცემის გამო სათანადო კანონთა გაუქმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუქმებულ იქნეს დადგენილებანი:

ა) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი 1925 წ. აპრილის 2-ს თარიღითერთიანი სავაჭრო რეესტრის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრებ. 1925 წ. მე 4 №-რი, მუხ. 407);

ბ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი 1925 წ. აპრილის 2-ს თარიღით—ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ წარმოებული სავაჭრო და სხვა საწარმოთა რეგისტრაციისათვის გადასახდევინებელი სახელმწიფო გამოსაღების შესახებ (ა/კსფსრ კან კრებ. 1925 წ. მე-5 № რი. მუხ. 424).

გ) ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა 1925 წ. ივნისის 20-ს თარიღით—სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა რეგისტრაციის ვადის განგრძობის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-6 №-რი, მუხ. 451)

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. დეკემბრის 28.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1071 №-ში 1926 წ. იანვრის 6-ს.

დადგენილება ა/კ რკინ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

(საგანკარ. სხდ. № 12—6.)

1925 წ. დეკემბრის 28.

571. სომხეთის სსრ საალმშენებლო სიზოგადოების „შინარარი"-ს განთავისუფლების შესახებ ზოგიერთი დამატებითი გამოსაღების გადახდისაგან ეჩმიაძინის კარიერიდან ქვიშა-ხრეშის გადაზიდვისათვის.

სომხეთის სსრ საალმშენებლო საზოგადოება „შინარარ", საალმშენებლო საჭიროებისათვის სადგურ ეჩმიაძინიდან სადგურ ერევანამდე ქვიშა-ხრეშის (ჯგუფი 38, პოზ. 27) გადაზიდვისათვის, განთავისუფლდება სასაწვრე გამოსაღებისა და ნახევარი საწილადო გამოსაღებისაგან დატვირთვისა და გადმოტვირთვისთვის.

ეს სატარიფო შეღავათი დაწესებულია 1927 წლის იანვრის 1-დე, ძალაში შედის 7 დღის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან და შეფარდებულ იქნება იმ პირობით, უკეთუ ქვიშა-ხრეში გაგზავნილია საზ. „შინარარ"-ის მისამართით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა შეღავათის სამოქმედოდ შემოღებამდე ძალაში რჩება საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის 1925 წ. მაისის 11-ს (ოქმი № 2/6) დადგენილება, რომელიც გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს 873 №-ში მაისის 13-ს და სამოქმედოდ შემოღებულია გამგეობის წევრის (კომერც. ნაწ.) 1925 წ. მაისის 11-ს თარიღისა და 84.1339 №-რის ტელეგრამით.

ა/კ. რკ. გზების გამგეობის წევრი **მამედბეკოვი.**

სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი **შახბუდალოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1071 №-ში 1926 წ. იანვრის 6-ს.

დადგენილება № 9-65 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1925 წ. დეკემბრის 16

572. ქაღალდის მრეწველობის ნაკეთობის მაქსიმალურ-უკიდურესი საბითუმო, ნახევარ-საბითუმო და წვრილ-საბითუმო ფასების შესახებ.

ა/კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო-კომისარიატის დროებითი დებულების" შესახებ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნ. თანახმად —ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს ცენტრალური ქაღალდის ტრესტისა, უკრაინის ქაღალდის ტრესტისა, ლენინგრადის ქაღალდის ტრესტისა, პოლესიეს ქაღალდის ტრესტისა, ჩრდილო-დასავლეთისა და კამ-ურალის ტყის ქაღალდის ნაკეთობისათვის შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი საბითუმო საგასაცემო ფასები ფრანკო-ფაბრიკა-საწყობი:

	სახელწოდება	ფასი
1.	საგაზეთო და დახვეული (50 გრ)	4 მან. და 60 კაპ.
2.	საბეჭდი, ფლატ. (პტყლად დაწყ.) № 8 გაპრიალებული (60 გრ. გაშლილი)	5 მან. და 60 კაპ.
3.	საბეჭდი, ფლატ. № 7 გაპრიალებული (60 გრ. გაშლილი)	7 „ — „
4.	„ „ № 6½ „ „	8 „ 40 „
5.	„ „ № 6 „ (65 გრ. გაშლილი)	9 „ — „
6.	საწერი „ № 8 „ (55 „ „)	6 „ 20 „
7.	„ „ № 7 „ (60 „ „)	7 „ 60 „
8.	„ „ № 6½ „ „)	9 „ 40 „
9.	„ „ № 6 „ (65 „ „)	10 „ — „
10.	„ „ № 5 „ (70 „ „)	12 „ 50 „
11.	საკანცეპტო. მჩვრისა (35 „ „)	11 „ — „
12.	„ ცელიულოზური (35 „ „)	9 „ — „

ეროვნული ბიბლიოთეკა

	სახელწოდება		ფასი		
13.	საწეკო თაბახი, ხის მასსის გაურეველი (70 გაპრ.) . .	7	მან. და	20	კაპ.
14.	„ დაბალი ხარისხისა	5	„	40	„
15.	სამუნდშტუკო, კომპოზ. № 8 (100 გრთაბ.)	6	„	40	„
16.	„ საბობინო (კოჭზე დახვეული)	6	„	40	„
17.	„მასლიონკა“ სალიტეგრ. გაპრ., თაბახი 180 გრ. . . .	5	„	60	„
18.	საპაპიროსო ფილიგრანული (ზოლიანი) (14 გრ. ბობინიანი, ბობ. სიგანე 25 მილიმ)	30	„	—	„
19.	საპაპიროსო თაბახიანი (16 გრ. მილიმ. ფასი)	—	„	12	„
20.	თამბაქ. მოსაწ. „ვერჟე“ (წყალწყალა ნიშნიანი (22 გრ)	15	„	50	„
21.	საშპალერო, დახვეული, გათეთრებული (50 გრ.) . . .	5	„	60	„
22.	სასანთო ეტიკეტისათვის, მკრთალფრად შეღებილი (45 გრ. თაბახ.)	7	„	50	„
23.	სასანთო ბობინიანი	8	„	—	„
24.	„ დახვეული(45 გრ. თაბახ.)	7	„	50	„
25.	„ „ (45 გრ. ბობინიანი)	8	„	—	„
26.	სახვევ-სათავსი („იავა პაკ.“) 50 გრ.	5	„	25	„
27.	სახვევი, რუხი, მჩვრისა 50 გრ.	5	„	10	„
28.	„ მკრთალფერი ჩვეულ. დაკნინებული ბოჭკ. 60 გრ.	3	„	50	„
29.	„ ჩალისა (110 გრ.)	2	„	65	„
30.	ყვითელი, ფინლიანდური, მოხარშ. ხისა გაპრიალ. 50 გრ.	4	„	40	„
31.	კარტონი თეთრი, თხელი (450 გრ. ნაკლები)	3	„	60	„
32.	„ „ „ საშუალო (450—900 გრ.) .	3	„	20	„
33.	„ „ „ სქელი (900 გრ. მეტ.) . .	3	„	—	„
34.	კარტონი ყვითელი. ხისა, თხელი	4	„	—	„
35.	„ „ „ საშუალო	3	„	50	„
36.	„ „ „ სქელი	3	„	30	„
37.	„ „ „ ჩალისა	2	„	50	„
38.	„ რუხი, წვრილი ბოჭკოსი, საკაზმავი, თხელი	4	„	20	„
39.	„ ყვითელი, ხე-ჩალისა, თხელი	4	„	20	„
40.	„ „ „ საშუალო	3	„	80	„
41.	„ „ „ სქელი	3	„	50	„

შენიშვნა. ქაღალდის მრეწველობის ზემოაღნიშნული ნაკეთობის გაყიდვის დროს—ფრანკო-ვაგონ-ფაბრიკა გაგზავნის სადგური—ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებულ ფასებს დაერიცხება შარაგზით ტვირთზიდვისა და დატვირთვის ხარჯი—ამ ხარჯის ნამდვილი რაოდენობით.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ ქაღალდის მრეწველობის ნაკეთობისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატი:

ა) ზემოაღნიშნული ტრესტების მიერ თავიანთი წარმომადგენლობისა კონტორისა, სააგენტოს და განყოფილების მეშვეობით ბითუმად გაყიდვის დროს—ფრანკო-ფაბრიკა-საწყობი—არა უმეტეს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში დაწესებული ფასების 2 პროცენტისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ტრესტების მიერ ბითუმად გაყიდვის დროს იმ საწყობში, რომელიც მათი წარმოების რაიონში ან ტრესტის სამყოფელ ადგილას მდებარეობს,— არა უმეტეს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში დაწესებული ფასების 5 პროცენტისა.

შენიშვნა. იმ საწყობების სია, რომლებზედაც გავრცელდება 5 პროცენტიანი წანამატი, დამატებით იქნება გამოქვეყნებული.

გ) ზემოაღნიშნული ტრესტების წარმომადგენლობისა, განყოფილებისა, სააგენტოს და კონტორის მიერ ა/კსფსრ ტერიტორიაზე მდებარე საწყობში ბითუმად გაყიდვის დროს—არა უმეტეს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში დაწესებული ფასების 12 პროცენტისა.

შენიშვნა. აღნიშნულ 12 პროცენტიან წანამატში არ შედის ყოველგვარი სატრანსპორტო ხარჯი, რაც მისი ნამდვილი რაოდენობით უნდა იქნეს დარიცხული.

დ) კოოპერატიული ორგანიზაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოს მიერ ბითუმად გაყიდვის დროს, ისე, რომ თავიანთ საწყობებში არ მიზიდონ,— არა უმეტეს 8 პროცენტისა თვითღირებულობაზე;

ე) კოოპერატიული ორგანიზაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოს მიერ თავიანთ საწყობებში ბითუმად გაყიდვის დროს—არა უმეტეს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში დაწესებული ფასების 18 პროცენტისა.

შენიშვნა. აღნიშნულ 18 პროცენტიან წანამატში არ შედის ყოველგვარი სატრანსპორტო ხარჯი, რაც მისი ნამდვილი რაოდენობით უნდა იქნეს დარიცხული.

3) ზემოაღნიშნული ტრესტების იმ წარმომადგენლობისა, განყოფილებისა, სააგენტოს და კონტორისა, აგრეთვე კოოპერატიული ორგანიზაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოს საწყობებში ნახევარ-ბითუმად გაყიდვის დროს, რომელი წარმომადგენლობა, განყოფილება, კონტორა, კოოპერატიული ორგანიზაცია და სახ. ვაჭრობის ორგანოც აკ/სფსრ ტერიტორიაზე მოქმედობს,—არა უმეტეს 10 პროცენტისა, ამა დადგენილების მე-2 მუხ. „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ პუნქ. დაწესებულ წანამატის გარდა.

ზ) კოოპერატიული ორგანიზაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოს საწყობში წვრილ-ბითუმად გაყიდვის დროს—არა უმეტეს 15 პროც., ამა დადგენილების მე-2 მუხ. „გ“, „დ“ და „ე“ პუნქ. დაწესებული წანამატის გარდა.

3. დაწესებულ იქნეს შემდეგი დანაწილება ქალაღდის მრეწველობის ნაკეთობის ბითუმად, ნახევარ-ბითუმად და წვრილ-ბითუმად გაყიდვისათვის:

1. ბითუმი —1000 მან. და მეტი.

2. ნახევარ-ბითუმი—100 მანეთიდან 1000 მანეთამდე.

3. წვრილ-ბითუმი—1 ოზმიდან 100 მანეთამდე.

4. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში თვალყური უნდა ადევნონ ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის
სახალხო კომისარი **ერქომაიშვილი**
მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი**
საქმეთა მმართველი **ეირანოვი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1075 №-ში 1926 წ. იანვრის 12-ს.

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

(საგანკარგ. სხდ. № 13-6)
1926 წ. იანვრის 15.

573. ქალაქი ფოთის აღმასრულებელი კომიტეტის განთავისუფლების შესახებ ზოგიერთი დამატებითი გამოსაღების გადახდისაგან ქობულეთის კარიერიდან ქვიშა-ხრეშის გადაზიდვისათვის.

ქალაქი ფოთის აღმასრულებელი კ-ტი განთავისუფლებულია სასაწვრე გამოსაღებისა და ნახევარი დატვირთვა-გადმოტვირთვის საწილადო გამოსაღების გადახდისაგან ხიდების საშენებლად საჭირო 300 ვაგონი ქვიშა-ხრეშის გადაზიდვისათვის სადგურ ქობულეთიდან სადგურ ფოთამდე, იმ პირობით, უკეთუ ქვიშა-ხრეში დატვირთული და გადმოტვირთული იქნება თვით აღმასრულებელი კომიტეტის სახსარით.

შეღავათი ესე დაწესებულია ვადით 1926 წლის ოქტომბრის 1-დე, ძალაში შედის 7 დღის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან და შეფარდებულ იქნება იმ პირობით, უკეთუ ქვიშა-ხრეში გაიგზავნება ფოთის აღმასრულებელი კომიტეტის მისამართით.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობის წევრი **მამედბეკოვი.**
სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი **შახბუდაღოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1080 №-ში 1926 წ. იანვრის 17-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

574. ვ. ი. ულიანოვ-ლენინის გარდაცვალების დღეს დროშების დაწევის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. ვ. ი. ულიანოვ-ლენინის გარდაცვალების დღეს—იანვრის 21-ს—მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე ჩამოწეულ იქნეს 10 წამით, 19 საათ. და 20 წამიდან დაწყებული 19 საათ. და 30 წამამდე, ადგილობრივი დროის მიხედვით, ყველა სახელმწიფო დროშა, რაც-კი ამართულია ა/კსფსრ მთავრობისა და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა შენობებზე, ა/კსფსრ. და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური და ადგილობრივი დაწესებულებებისა და ორგანოების შენობებზე და აგრეთვე სამხედრო და სავაჭრო ფლოტის ნავჭურჭლებზე.

2. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1926 წ. იანვრის 18.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1082 №-ში 1926 წ. იანვრის 20-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

575. სახელმწიფო სასპირტო მონოპოლიის ცენტრალური გამგეობის მიერ საგასაცემო სამონოპოლიო სპირტის ა/კსფსრ-ში მოზიდვისა და გაყიდვის მოწესრიგების შესახებ.

რათა მოწესრიგებულ იქნეს იმ სპირტის მოზიდვა და ვაჭრობა ა/კსფსრ ფარგლებში, რაც სახელმწიფო სასპირტო მონოპოლიის ცენტრალური გამგეობის მიერ გაცემულია ტეხნიკურ-წარმოებითი, მედიკო-სანიტარული და სამეცნიერო-სასწავლო საჭიროებისათვის (სპირტისა და სასპირტო სასმელების წარმოებისა და ვაჭრობის დებულების მე-7 მუხ. და მე-11 მუხლის ლიტ. „დ" (სსრკ კან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრ. 1925 წ. 57 №-რი, მუხ. 426), ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ.

1. ტეხნიკურ-წარწოებითი, მედიკო-სანიტარული და სამეცნიერო-სასწავლო საჭიროებისათვის ა/კსფსრ ფარგლებში შემოსატანი სამონოპოლიო სპირტის კონტიგენტი განისაზღვრება საგეგმო წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური საბჭოების მიერ ნამდვილი საჭიროებისადა მიხედვით და დამტკიცდება ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ.

2. 1-ლ მუხ. აღნიშნული სამონოპოლიო სპირტის გაყიდვა ა/კსფსრ-ში მოწესრიგდება იმ ინსტრუქციით, რომელსაც დაამტკიცებს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

3. აღკრძალულია ა/კსფსრ-ში 1-ლ მუხლში აღნიშნული სამონოპოლიო სპირტისაგან არყისა და არყეული ნაკეთობის დამზადება.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით, როგორც სავაჭრო წესების შეუსრულებლობისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1925 წ. დეკემბრის 18. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“ს 1086 № ში 1926 წ. იანვრის 26-ს

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

576. ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „შრომის სახელმწიფო შემნახველი კასების დაარსების“ თაობაზე 1923 წ. სექტემბრის 17-ს თარიღით გამოცემული დადგენილების გაუქმებისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების დამატების შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო შემნახველი კასების დებულების დამტკიცების შესახებ“ 1925 წ. ნოემბრის 27-ს თარიღის დადგენილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემის გამო და თანახმად აღნიშნული დადგენილების მე 3 მუხ. და შრომის, სახელმწიფო შემნახველი კასების დებულების 37 მუხლის მე-2 ნაწილისა, ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექ-ტემბრის 17-ს თარიღისა და 91 №-რის დადგენილება „შრომის სახელმწიფო შემნახეელი კასების დაარსების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. და განკ. კრებ. 1923 წ. მე-11 №-რი, მუხ. 198).

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკე-ბის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეავსონ კუთვნილებისამებრ სა-მოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსები მით, რომ „განსაკუთრებულ წარ-მოებათა“ განყოფილებაში შეიტანონ სპეციალური თავი—იმ დოკუმენტებით უფლების აღდგენის საქმეთა შესახებ, რომლებიც გაცემულია წარმდგენელისა-თვის და რომლებიც დაუკარგავთ შრომის სახელმწიფო შემნახველი კასების მეანაბარეთ.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. იანვრის 18. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1086 №-ში 1926 წ. იანვრის 26-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმას-რულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომი-სართა საბჭოსი

577. მუშათა ფაკულტეტების სტუდენტებისათვის სამუშაო დღის შემცირების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სა-ხალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შემცირებულ იქნეს ა/კსფსრ ფარგალში ამიერ კავკასიის რკინის გზებზე და სახალხო კავშირგამბულობის დაწესებულებებში მომუშავე მუშათა ფა-კულტეტების უკანასკნელი კურსის სტუდენტებისათვის 8 საათის სამუშაო დღე, სადაც იგი შემოღებულია, ორი საათით.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ მუშათა ფაკულტეტების უკანასკნელი კურსის სტუდენტებს შეენარჩუნებათ მათი კუთვნილი მთელი სა-მუშაო დღის სამუშაო ხელფასი.

3. განთავისუფლებულ იქნენ აღნიშნული სტუდენტები ზემოხსენებულ დაწესებულებებში სრულიად მუშაობისაგან ორი კვირით სასწავლო წლის განმავლობაში ეკზამენების დროს და შეენარჩუნოს მათ მთლად ის სამუშაო ხელფასი, რაც მათ ერგებათ.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. იანვრის 18. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1086 №-ში 1926 წ. იანვრის 26 ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

578. ხე-ტყის დამმზადებელი ორგანიზაციების მიერ სამორე სასყიდლის შეტანის წესის შესახებ.

რათა წინასწარვე თავიდან აცილებულ იქნეს ხე-ტყის დამმზადებელი ორგანიზაციების დავალიანება სამორე სასყიდლის გადახდის სფეროში ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ტყე უნდა გაიცეს განსაზღვრული ნაკვეთებიდან, ტყის საკაფავებიდან და დაყოფილი ნაჭრებებიდან, სადაც გაცემული ხეები დაინუმრება, დაიდამღება, გაიზომება და შეფასდება, ხოლო სათვალავ-შეფასების ნუსხა ადგილობრივ იქნება შემოწმებული და დამტკიცებული სათანადო ორგანოს მიერ.

2. შემზადებული მასალის გამოტანა იმ ადგილიდან, სადაც ტყე მოიჭრა, შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სრულიად გადახდილ იქნება მთლად გამოსაზიდი პარტიის ღირებულება.

3. გამოსაზიდი მერქანის ღირებულება შეტანილ უნდა იქნეს მარტოოდენ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში.

4. ტყის გამგეს შეუძლიან ნება დართოს შემზადებული ხე-ტყის მასალის გამოტანა იმ ადგილიდან, სადაც იგი მოიჭრა, მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იგი, ტყის გამგე, მიიღებს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროს მოწმობას გამოსაზიდი პარტიის სასყიდლის გადახდის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ხე-ტყის გამოტანის დროს დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად სასყიდელი წვრილ-წვრილი პარტიებისათვის, 300 მან. ღირებულებამდე, შეიძლება გადახდილ იქნეს ტყის გამგის სალაროში.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. იანვრის 18. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1086 №-ში 1926 წ. იანვრის 26-ს.

დადგენილება ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

579. ა/კ. სფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს დებულების ახალი რედაქციის შესახებ.

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს დებულების (კან. კრ. 1925 წ. მე-8 №-რი, მუხ. 74) 1-ლი მუხლის თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგის რედაქციით დებულება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს 1925 წ. აპრილის 27-ს თარიღის დებულება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შესახებ (ა/კსფსრ კან. და განკ. კრებ. 1925 წ. მე-6 №-რი, მუხ. 447).

დებულება ა/კსფსრ შრომის სახ. კომისარიატთან არსებული ა/კ. სოც. დაზღვევის საბჭოს შესახებ.

1. სოციალური დაზღვევის საქმის მოწესრიგებისთვის, თანახმად სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს დირექტივებისა და სსრკ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების

მე-15 მუხლის წესისამებრ (სსრკ ცენ. აღმ. კომ., სახ. კომ. საბჭ. და შრ. და თავდაცვის საბჭოს „ვესტნიკი“—1923 წ., მუხ. 299), ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსდება ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭო.

2. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭო მოეწყობა შემდეგი შედგენილობით:

ერთი წარმომადგენელი ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა, ერთი წარმომადგენელი ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, თითო წარმომადგენელი აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოებისა, ერთი წარმომადგენელი ამიერკავკასიის რკინის გზების სამმართველოსი, ორი წარმომადგენელი ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, თითო წარმომადგენელი აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებისა და ერთი წარმომადგენელი ამიერკავკასიის რკინის გზების პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი.

შენიშვნა. საბჭოს შედგენილობაში სათათბირო ხმით შედიან ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების წარმომადგენელნი.

3. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი დანიშნავს საბჭოს თავმჯდომარის მუდმივ მოადგილეს, რომელიც ეწევა თავმჯდომარის მაგიერობას მისი არყოფნის დროს. სხვა უწყებანი და პროფესიონალური შენაერთნი დანიშნავენ საბჭოს წევრთა მუდმივ მოადგილეთ, რომელნიც ეწევიან წევრთა მაგიერობას მათი სხვაგან წასვლისა ან ავადმყოფობის გამო. საბჭოს თავმჯდომარისა და წევრთა მოადგილეებს დამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო. საბჭოს თავმჯდომარისა და წევრთა მოადგილეებს, როდესაც მათ, ამა მუხლის თანახმად, არა აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება, შეუძლიანთ დაესწრნენ საბჭოს სხდომებს სათათბირო ხმით.

4. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) საერთო მიმართულება მისცეს სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს მოქმედებას, ისე-კი, რომ არ ჩაერიოს მის ოპერატიულ საქმიანობაში;

ბ) განიხილოს და დამტკიცოს სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს მუშაობის საერთო გეგმა;

გ) თვალყური ადევნოს, რათა შეფარდებულ იქნეს საერთო საფუძველები დაზღვეულთა და მათ ოჯახთათვის სამკურნალო დახმარების მოწყობისა და გამოიყენოს სამკურნალო დახმარების ფონდი და აგრეთვე ექსპერტიზისა და კონტროლის ორგანოების მოქმედება;

დ) განიხილოს და დამტკიცოს სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს ხარჯთაღრიცხვა;

ე) საერთო მეთვალყურეობა გაუწიოს სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს მიერ დამტკიცებული გეგმის შესრულებას და აგრეთვე განიხილოს მისი პერიოდული მოხსენებანი და წლიური ანგარიშები;

ვ) განიხილოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და სხვა უწყებათა მიერ შემუშავებული ყველა კანონდებულების პროექტი სოციალური დაზღვე-

ვის სფეროში, რაც შეტანილ უნდა იქნეს ა/კსფსრ საკანონმდებლო ორგანოებში, და მისცეს დასკვნა აღნიშნულ პროექტების შესახებ;

ზ) განიხილოს და დაამტკიცოს სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს მიერ მომქმედ კანონდებულებათა განსავითარებლად შემუშავებული საერთო წესები და ინსტრუქციები, რომლებიც შეხება დაქირავებით მომუშავეთა ცალკე კატეგორიების ჩაბმას დაზღვევის საქმეში, სადასაზღვეო გადასახადების წესს, მომქმედი ტარიფების შეფარდებას დამაზღვეველთა ცალკე ჯგუფებისათვის და სადასაზღვეო უზრუნველყოფის რაოდენობას;

თ) განმარტოს ხოლმე ა/კსფსრ მომქმედი კანონდებულებანი სოციალური დაზღვევის შესახებ და მათ განსავითარებლად გამოცემული განკარგულებანი და ინსტრუქციები;

ი) განიხილოს ა/კსფსრ უწყებათა მიერ შეტანილი საჩივრები ამიერკავკასიის რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების გადაწყვეტილებაზე სოციალური დაზღვევის საკითხების გამო;

5. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს სხდომებს დანიშნავს მისი თავმჯდომარე ორ თვეში ერთხელ მაინც. იმ საქმეებს, რომლებიც შეადგენს საბჭოს გამგებლობის საგანს, შეიტანენ უწყებანი და საბჭოს წევრნი თავმჯდომარის მეშვეობით.

6. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს სხდომაზე შეიძლება მიწვეულ იქნეს სათათბირო ხმით მცოდნე პირი და დაინტერესებული უწყების წარმომადგენელი.

7. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს სხდომა კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრო საბჭოს წევრთა ნახევარი მაინც, თავმჯდომარისა ან მისი მოადგილის ჩათვლით.

8. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოში საქმე გადასწყდება ხმის მარტივი უმეტესობით. საბჭოს ის დადგენილება, რომლის წინააღმდეგაც იმავე სხდომაზე რომელიმე წევრის მიერ განცხადებულია პროტესტი,—საბოლოო გადაწყვეტისათვის გადაიტანება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიაში. უკეთუ 7 დღის განმავლობაში შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგია არ გააუქმებს დადგენილებას, იგი ძალაში შედის. საბჭოს ის დადგენილება, რომლის გამოც აღნიშნული წესისამებრ პროტესტი არ არის განცხადებული, დაუყონებლივ შედის ძალაში, ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის მიერ დაუმტკიცებლად.

9. ამიერკავ. სოციალური დაზღვევის საბჭოს დადგენილებაზე და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებაზე—ზემოაღნიშნული დადგენილების გაუქმების შესახებ—შეიძლება შეტანილ იქნეს პროტესტი დაინტერესებული უწყების მიერ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში; ხოლო პროტესტის შეტანა ვერ შეაჩერებს მიღებული დადგენილების განხორციელებას.

10. საბჭოს საერთო წესები და ინსტრუქციები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის ოფიციალურ ორგანოში და სოციალური დაზღვევის ყველა ორგანოს მიერ სახელმძღვანელოდ მიიღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს თავისი ტეხნიკური აპარატი არა ჰყავს და მას მომსახურეობას გუწევს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს აპარატი.

ა/კ ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1926 წ. იანვრის 18.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1086 №-ში 1926 წ. იანვრის 26-ს.

დადგენილება № 1 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

580. სარეზერვო ფონდის თანხების დახარჯვის წესის შესახებ ა/კსფსრ ბიუჯეტის მიხედვით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კ სახალხო კომისართა საბჭოს და რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების სარეზერვო ფონდები, რომლებიც შეტანილია: პირველი ა/კსფსრ ფედერატიულ ბიუჯეტში, ხოლო მეორეები—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებში—დანიშნულია მარტოოდენ ხარჯთაღრიცხვების ზედმეტი კრედიტების გასაცემად იმ შემთხვევებში, რაც გათვალისწინებულია ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ—ა/კსფსრ და მასში შემავალი რესპუბლიკების სებიუჯეტო უფლებათა შესახებ—1925 წ. აპრილის 27 თარიღით გამოცემული დადგენილების 41-45 მუხლით.

2. წინა მუხლში აღნიშნული სარეზერვო ფონდების ანგარიშით არ შეიძლება გაიცეს სახსარი ისეთი საჭიროებისათვის, რომლის ფინანსიურად უზრუნველსაყოფად იმავე ბიუჯეტების საგანგებო ხარჯების განყოფილებაში დაწესებულია ცალკე ფონდი და ცალკე რამ დანიშნულება; აგრეთვე არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს სარეზერვო ფონდის ანგარიშით ისეთი ხარჯი, რომლისთვისაც სახსარი გამოთხოვილი იყო სახარჯთაღრიცხვო წესით და რომელიც რაიმე მიზეზით დამტკიცებულ არ იქნა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. შუამდგომლობას სარეზერვო ფონდის ანგარიშით თანხის მიცემის შესახებ დაინტერესებული უწყება—ფედერატიული მნიშვნელობის ხარჯისათვის წარადგენს ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოში, თანაც წინასწარ ამ საკითხს იგი შეუთანხმებს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ხოლო რესპუბლიკანური მნიშვნელობის ხარჯისათვის—სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოში, ამ საკითხის გამო ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან შეთანხმებით. თვინიერ ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა ან ა/კ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო რწმუნებულის დასკვნისა, რომელსაც დართული უნდა ჰქონდეს ცნობა, რომ სარეზერვო ფონდში საკითხის განხილვის წინა დღეს მოიპოვბოდა თავისუფალი ნაშთი,—აღნიშნული შუამდგომლობა არ განიხილება და, უკეთუ თავისუფალი ნაშთი არ მოიპოება, იგი არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს.

4. სარეზერვო ფონდის წლიური გადანაკეთის ხარჯვა სწარმოებს კვარტალობით; თანაც აღნიშნული ფონდის ანგარიშით განაცემების საერთო თანხა უწყებულ კვარტალისათვის არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი საკვარტალო ასიგნვის თანხას.

5. უკეთუ ამოწურული იქნება სარეზერვო ფონდის საკვარტალო გადანაკეთი, გახსნა დადგენილი წესისამებრ ამ ფონდიდან გასაცემად ნებადართული ხარჯთაღრიცხვის ზედმეტი კრედიტებისა შეჩერებულ იქნება ა/კ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ ან ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ, რაც უნდა ეცნობოს ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს; თანაც წარდგენილ უნდა იქნეს წინადადება ნებადართული ასიგნვების გაუქმებისა ან გადადების შესახებ, ან და მათი მიქცევის შესახებ ამა თუ იმ ხარჯთაღრიცხვით ან მთლად ბიუჯეტით მოსალოდნელ დანაზოგებზე.

6. სარეზერვო ფონდის ანგარიშის წარმოება—ყველა განაცემის რეგისტრაციით—დაეკისრებათ ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულებს. ეს უკანასკნელნი ყოველი თვის 1-სა და 15-ს რიცხვში წარადგენენ სათანადო სახალხო კომისართა საბჭოში საანგარიშო ნუსხას გასული ორი კვირის განმავლობაში უწყებული სარეზერვო ფონდიდან გახსნილი კრედიტებისა და საანგარიშო რიცხვისათვის დარჩენილი ნაშთის შესახებ; თანაც აღნიშნავენ, სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ნებადართულ ხარჯთა შორის რომელი ხარჯი არ არის შესრულებული ზემოხსენებული ფონდის ანგარიშით.

7. სარეზერვო ფონდის ანგარიშით ამა თუ იმ თანხის გაცემის შუამდგომლობისათვის დაწესებულია შემდეგი ლიმიტები:

ა) ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდის ანგარიშით გასაცემი კრედიტისათვის—არა უმეტეს 100.000 მანეთისა;

ბ) რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების სარეზერვო ფონდის ანგარიშით გასაცემი კრედიტისათვის—არა უმეტეს 10.000 მანეთისა.

8. არაგაერთიანებული უწყების შუამდგომლობით ხარჯთაღრიცხვის ზედმეტი კრედიტის შესახებ რესპუბლიკანური მნიშვნელობის საჭიროებისათვის, უკეთუ იგი 10.000 მან. არ აღემატება, კრედიტი გაიცემა მხოლოდ სათანადო რესპუბლიკის სარეზერვო ფონდის ანგარიშით სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკეთუ არაგაერთიანებული უწყების შუამდგომლობა რესპუბლიკანური მნიშვნელობის საჭიროებისათვის სახსარის მიცემის შესახებ 10.000 მან. აღემატება, ეს შუამდგომლობა შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდის ანგარიშით; ამასთანავე შუამდგომლობა ა/კ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღძრულ უნდა იქნეს უსათუოდ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

9. ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების სარეზერვო ფონდიდან სახსარის მიცემის შესახებ შესულ შუამდგომლობათა განხილვა სწარმოებს არა უხშირეს, ვიდრე თვეში ორჯერ, გარდა სასწრაფო საჭიროებისა.

10. უწყების შუამდგომლობა ხარჯთაღრიცხვის ზედმეტი კრედიტის შესახებ უნდა შეიცავდეს არა მარტო იმ მოსაზრებას, რომ ის ხარჯი, რომლისთვისაც გამოითხოვება ხარჯთაღრიცხვის ზედმეტი კრედიტი, აუცილებლად საჭიროა და დაუყოვნებელი, არამედ იმ დასაბუთებასაც, რომ ამ ხარჯის განხორციელება შეუძლებელია ხარჯთაღრიცხვის მოსალოდნელი დანაზოგით, ე. ი. იმ საშუალებით, რომ ამა თუ იმ პარაგრაფიდან, რომლის თავისუფალი ნაშთიც გამორკვეულია, კრედიტი, დადგენილი წესისამებრ, გადანაცვლებულ იქნეს იმ პარაგრაფში, რომლის ანგარიშითაც საჭიროა ხარჯის გაწევა.

11. სარეზერვო ფონდის ანგარიშით გაცემული ხარჯთაღრიცხვის ზედმეტი კრედიტის შესახებ მიღებულ დადგენილებაში აუცილებლად აღნიშნულ უნდა იქნეს, სახელდობრ რომელი პარაგრაფისა და მუხლის და რომელი ხარჯთაღრიცხვის დამატებად არის გაცემული კრედიტი. იგივე ცნობები ხარჯთაღრიცხვის ნაწილების შესახებ, რომლებსაც შეესაბამება ხარჯთაღრიცხვის ზედმეტი კრედიტი, მოთავსებული უნდა იყოს კრედიტის გამომთხოვი უწყების წარდგენილებაში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლსკი.**

1926 წ. იანვრის 21. ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1088 №-ში 1926 წ. იანვრის 28-ს.

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

განმარტება № 1 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. იანვრის 18.

581. იმის შესახებ, რომ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებს და საშრომო საქმეთა გადამწყვეტ სხვა ორგანოებს არ შეუძლიანთ გამოიტანონ დამზღვევ ორგანოთათვის სავალდებულო გადაწყვეტილებანი.

შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც მათ გამოიტანეს ისეთი გადაწყვეტილება, რომლითაც ფულის გადახდის წარმოება დაკისრებული ჰქონდათ დამზღვევ ორგანოებს.

ამით ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ ასეთ გადაწყვეტილებას არავითარი სავალდებულო ძალა არა აქვს. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას და სხვა მომრიგებელ-საკონფლიქტო ორგანოს შეუძლიან გამოიტანონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც სავალდებულოა მარტოოდენ საქმეში მონაწილე მხარეებისთვის (დამქირავებლისა და დაქირავებულისათვის), ხოლო არა მესამე პირისათვის, როგორიც არის დამზღვევი ორგანო. ამ უკანასკნელის არაკანონიერ მოქმედება არ შეადგენს არც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისა, არც მომრიგებელ-საკონფლიქტო და სასამართლო ორგანოს განხილვის საგანს, და განისაჩივრება მხოლოდ დაზღვევის მიმართულებით—იმ წესისამებრ, რაც აღნიშნულია: პენსიის შესახებ ინვალიდობის გამო—ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს 1925 წ. ნოემბრის 16-ს ინსტრუქციაში „პენსიის დანიშვნის წესის შესახებ"—მუხ. 41 („ა/კ. შრ. სახ. კომ-ტის ვესტნიკი შრომის კანონმდ." 1925 წ. 21 №-რი), ხოლო ყოველგვარი დახმარების შესახებ—ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღისა და 99 №-რის დადგენილებაში „დაზღვეულთა მიერ დამზღვევი ორგანოების გადაწყვეტილებათა განსაჩივრების წესის შესახებ" („ა/კ. შრ. სახ. კ-ტის იზვესტია" 1924 წ. №-9—10 №-რი).

ამის გამო შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებისა და საშრომო საქმეთა გადამწყვეტ სხვა ორგანოების ყველა გადაწყვეტილება, რომლითაც დამზღვევ ორგანოს რაიმე ვალდებულება აქვს დაკისრებული, როგორც უკანონო, გაუქმებულ უნდა იქნეს.

ა/კ. კშრომის სახალხო კომისარი ს. **იაკუბოვი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის საქმეთა
ზედამხედველი ბიუროს გამგე **ლ. თუმანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1091 №-ში 1926 წ. იანვრის 31-ს.

ტფილისი—2/III—26. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრ. 1-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.

მთავარლიტი № 314 შეკ. № 5005/856 დაიბეჭდა 1000 ც.